ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, რაც აღწერილია საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებების მუხლი 62-ში: დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, სტუდენტებს საკუთარი სურვილით შეეძლება სწავლის გაგრძელება: ა) ამავე დაწესებულებაში, არსებული საგანმანათლებლო პროგრამებით; ბ) ამავე დაწესებულებაში, შეცვლილი საგანმანათლებლო პროგრამებით; გ) სხვა ანალოგიურ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის გზით, იმავე ან სხვა ანალოგიური პროგრამებით.

დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება საქართველოს კერძო კოლეჯებს შორის, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების მობილობას სხვა სასწავლებელში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებებით (დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“-ს დირექტორის ბრძანებით №27/2, 05.07.2019 წელი);
- ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება საქართველოს კერძო კოლეჯებს შორის;
- ინტერვიუებით;
- ვებ-გვერდით <https://kavkasioni.edu.ge/>

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

22

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----



ქ. ქუთაისი;
ქ.თბილისი 2019.

(ქალაქი, წელი)

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კოლეჯში სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობით შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი. ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ სასწავლო ნაწილის სამსახური, ადმინისტრაციის სხვა თანამშრომელი და პედაგოგები. შიგა მონიტორინგის მიერ შეფასება ხორციელდება დირექტორის მიერ დამტკიცებული სპეციალური ოქმის მიხედვით. სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დამოუკიდებლად ყოველი თვის დასაწყისში გეგმავს მინიმუმ თვეში ორჯერ თითოეულ პროგრამაზე დასწრებას, განსაზღვრავს პედაგოგს, დისციპლინასა და დასწრების თარიღს. მონიტორინგის ჯგუფი ადგენს ოქმს და გადასცემს საქმის წარმოების სამსახურს.

სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წელწადში (იანვარში და ივლისში) ორჯერ წარუდგენს ანგარიშს დირექტორს. სასწავლო პროცესის უხეშად დარღვევის შემთხვევაში სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სასწრაფოს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია დირექტორს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებებით (დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“-ს დირექტორის ბრძანებით №27/2, 05.07.2019 წ.);
- მოდულური პროგრამების შიდა მონიტორინგის ჯგუფის სააუდიტორიო მუშაობაზე დასწრების ოქმი N 14;
- ინტერვიუებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

23

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ქ. ქუთაისი;
ქ.თბილისი 2019.

(ქალაქი, წელი)

2.1 დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“ ფუნქციონირებს ორ მისამართზე:

ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. N 2 – იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს 1196.28 კვ. მ. V და VI სართულზე, იჯარა გაფორმებულია შპს ევროპულ საგანმანათლებლო ცენტრთან;

ქ. თბილისი, ბაქრაძის ქ. N 6 - საკუთრებაში არსებული 538. 55 კვ. მ. მეტრი უძრავი ქონება (მე-2 სართულზე 226.9 კვ. მ. და 76.3 კვ. მ; მე-3 სართულზე 169.8 კვ. მ. და 65. 55 კვ. მ.). დაწესებულებამ, ამავე შენობაში, კონტიგენტის დამატებისთვის - იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „რინა-საგან“ დაიდება მე-2 სართულზე არსებული 76.6 კვ.მ. და 45. 2 კვ. მ. ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
	ქ. ქუთაისი, ქუჩა ოცხელის, N 2.	კოლეჯის სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობის ფართი: 1196.28 კვ.მ (V-VI სართული)
	ქ. თბილისი, ქუჩა ბაქრაძის, N 6	კოლეჯის სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობის ფართი: 660. 35 კვ.მ. (II-III სართული)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერებით საჯარო რეგისტრაციდან;
- ადმინისტრაციასთან გასაუბრებით;

24

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----



ქ. ქუთაისი;
ქ.თბილისი 2019.

(ქალაქი, წელი)

- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ორივე მისამართზე დაწესებულებას აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამებს. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო (მოდულური) პროგრამების აღჭურვილობა გადამოწმდა მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის წარმოდგენილ ცხრილებთან შესაბამისობით. ადგილზე დათვალიერებით დადასტურდა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ფლობა.

ბუღალტრული აღრიცხვა: (ქ. ქუთაისში): პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად A გარემოსთვის, ჯგუფური მეცადინეობისათვის, გამოყოფილია 2 აუდიტორია თითოეულში განთავსებულია 16 მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისთვის, პედაგოგის მაგიდა სკმით, კომპიუტერი, დაფა, დემონსტრირების ციფრული საშუალება (ეკრანი). დაწესებულებას B გარემოსთვის გამოყოფილი აქვს 1 კომპიუტერული კლასი, რომელშიც განთავსებულია 16 კომპიუტერი (სტუდენტებისათვის) და ერთი მასწავლებლისთვის.

(ქ. თბილისში): პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად A გარემოსთვის, ჯგუფური მეცადინეობისათვის, გამოყოფილია 1 აუდიტორია და განთავსებულია 32 მაგიდა- სკამით პროფესიული სტუდენტისთვის, პედაგოგის მაგიდა სკმით, კომპიუტერი, დაფა, დემონსტრირების ციფრული საშუალება (ეკრანი). დაწესებულებას B გარემოსთვის გამოყოფილი აქვს 2 კომპიუტერული კლასი, სადაც თითოეულში განთავსებულია 17 კომპიუტერი (სტუდენტებისათვის) და ერთი მასწავლებლისთვის.

25

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----



ქ. ქუთაისი;
ქ.თბილისი 2019.

(ქალაქი, წელი)

ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად A გარემოსთვის, ჯგუფური მეცადინეობისათვის, გამოყოფილია 1 აუდიტორია და განთავსებულია 32 მაგიდა - სკამით პროფესიული სტუდენტისთვის, პედაგოგის მაგიდა სკამით, კომპიუტერი, დაფა, დემონსტრირების ციფრული საშუალება (ეკრანი). დაწესებულებას B გარემოსთვის გამოყოფილი აქვს 2 კომპიუტერული კლასი, სადაც თითოეულში განთავსებულია 17 კომპიუტერი (სტუდენტებისათვის) და ერთი მასწავლებლისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასაქონლო ზედნადების ცხრილებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- შეძენის/გადახდის ქვითრებით;
- გასაუბრებით.

შეფასება:

- ☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის დაწესებულებაში არის ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. შექმნილია აუცილებელი გარემო - ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ადაპტირებული სველი წერტილის ჩათვლით, დამონტაჟებულია გათბობის საშუალებები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- გადახდის ქვითრებით;

26

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----



ქ. ქუთაისი;
ქ.თბილისი 2019.

(ქალაქი, წელი)

- ადმინისტრაციასთან გასაუბრებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) ორივე მისამართზე შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია სათანადო კომპიუტერული ტექნიკითა და შესაძლებელია ელექტრონული კატალოგით სარგებლობა. პროფესიულ სტუდენტებსა და პროფესიულ მასწავლებლებს საშუალება აქვთ, შეუზღუდავად ისარგებლონ ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერებით.

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე და ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბიბლიოთეკის დებულებით;
- ბიბლიოთეკის სარგებლობის წესით;
- საინვენტარო წიგნით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ბიბლიოთეკართან გასაუბრებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

27

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----



ქ. ქუთაისი;
ქ.თბილისი 2019.

(ქალაქი, წელი)

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯში კომპიუტერები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობისათვის, დაწესებულების მართვისათვის და კომუნიკაციისთვის.

დაწესებულებას შეძენილი აქვს სულ 78 კომპიუტერი, 31 ქუთაისში და 47 თბილისში. დაწესებულებას B გარემო მოწყობილი აქვს ქუთაისში 16 კომპიუტერით (სტუდენტებისათვის) და ერთიც მასწავლებლისათვის. თბილისში, ორ კომპიუტერულ კლასში 17-17 კომპიუტერი (სტუდენტებისათვის) და თითო მასწავლებლისთვის. ყველა აუდიტორიაში (A გარემოსთვის) განთავსებულია თითო კომპიუტერ და პრინტერი. ადმინისტრაციის თანამშრომელთათვის ქ. ქუთაისში გათვალისწინებულია 5 და ქ. თბილისში 4 კომპიუტერი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- სასაქონლო ზედნადებებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯში შემუშავებულია საქმისწარმოების წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით და შესაბამისად მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. არის შემოსული და გასული კორესპონდენციის, ბრძანებების, ოქმების აღრიცხვისა და რეგისტრაციის

28

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----



ქ. ქუთაისი;
ქ.თბილისი 2019.

(ქალაქი, წელი)

ჟურნალები, რომლებიც ზონარგაყრილია, დამოწმებულია ბეჭდით, და დანომრილია გვერდები (დაცულია ურღვეობა).

დაწესებულების მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესი ითვალისწინებს საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის N414 ბრძანებულებით დამტკიცებულ „საქმისწარმოების ერთიანი წესების“ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- კოლეჯის საქმისწარმოების წესით;
- ინტერვიუებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

- ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
- გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
- დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონის“ ქონების, მატერიალური რესურსების მართვის, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური წარმოადგენს კოლეჯის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს. 2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, კანონქვემდებარე აქტებით, კოლეჯის წესდებითა და წინამდებარე დებულებით. 3. სამსახური

29

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----



ქ. ქუთაისი;
ქ.თბილისი 2019.

(ქალაქი, წელი)

თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებულია კოლეჯის დირექტორის წინაშე, ასრულებს კანონით გათვალისწინებულ, დირექტორის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს. დაცვისა და უსაფრთხოების კუთხით სამსახურს ევალება: ა) იზრუნოს კოლეჯის შენობების, სტუდენტებისა და თანამშრომლების უსაფრთხოებაზე; ბ) აღრიცხოს და დაიცვას კოლეჯის ქონება დაზიანებისაგან; გ) გამოავლინოს შინა განაწესის დამრღვევები და რეაგირებისათვის გადასცეს ადმინისტრაციას; დ) არ დაუშვას შენობებში უცხო პირთა უსაქმოდ ყოფნა; ე) აღრიცხოს თანამშრომელთა კოლეჯში მოსვლა-წასვლის დრო და შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს ადმინისტრაციას. ვ) აწარმოოს კოლეჯში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის კონტროლისთვის სპეციალური აღრიცხვის ჟურნალი. ზ) რეგულარულად გააკონტროლოს ცეცხლმაქრების ვარგისიანობა (წნევის ვარდნა). კარგად იცნობდეს ევაკუაციის პროცედურებს (ევაკუაციის გეგმაშია მოცემული) და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს სტუდენტების და თანამშრომლების დაწესებულებიდან სწრაფად და ორგანიზებულად გაყვანა. ასევე დროულად უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში დარეკვა და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება. კოლეჯის ორივე მისამართზე თითოეულ სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. დაწესებულებაში ორივე მისამართზე განთავსებულია სამედიცინო დახმარების ოთახი შესაბამისი ინვენტარითა და გამოსაყენებლად ვარგისი პირველადი სამედიცინო მედიკამენტებით. დაწესებულებას ხელშეკრულებით ჰყავს ქუთაისის კოლეჯში ექთანი, ხოლო თბილისის კოლეჯში –ექიმი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებების მუხლი 43. (დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“-ს დირექტორის ბრძანებით №27/2, 05.07.2019 წ.);
- ინტერვიუებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

30

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----



ქ. ქუთაისი;
ქ.თბილისი 2019.

(ქალაქი, წელი)

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სწავლებასა და სწავლის პროცესში ჩართულობას დაწესებულება უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოთი, კერძოდ, ქუთაისში, ოცხელის ქ., N2 განთავსებულ ფართზე (მე-5 და მე-6 სართული) ყველა კიბის უჯრედზე დამონტაჟებულია ხის კონსტრუქციის ასაკეცი პანდუსები. კოლეჯის დირექტორის განმარტებით მიმდინარეობს ლიფტის მონტაჟისათვის საჭირო სამუშაოები. სველი წერტილები ადაპტირებულია. თბილისში, ბაქრაძის ქ., 6-ში (მე-2 და მე-3 სართული) ფუნქციონირებს ლიფტი, შენობის შესასვლელში დამონტაჟებულია ასაკეცი პანდუსები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიუებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის ვებგვერდი ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია ინფორმაცია ადმინისტრაციის შესახებ, სიახლეები, ნორმატიული აქტები, ფოტო-გალერეა, ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, ბიბლიოთეკის შესახებ. ვებ

31

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----



ქ. ქუთაისი;
ქ.თბილისი 2019.

(ქალაქი, წელი)

გვერდზე განთავსებულია კატალოგი, მისია, მიზანი და ამოცანები, სტრუქტურა, სამოქმედო გეგმები, ინფორმაცია დასაქმების შესახებ.

ვებგვერდის საკომუნიკაციო ფუნქცია დასტურდება მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართით და საკონტაქტო ნომრით.

ვებ გვერდი არის მუდმივად განახლებადი. ბოლო ინფორმაცია განთავსებულია 2019 წლის 2 ოქტომბერს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებ გვერდით <https://kavkasioni.edu.ge/>
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიუებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯს შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) გეგმა, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ (ბრძანება N 27/2, 05.07.2019.) და განთავსებულია ვებ გვერდზე. სტრატეგიული გეგმა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან და ორიენტირებულია მის განხორციელებაზე.

ერთწლიანი 2019 წლის სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია დირექტორის N56 ბრძანებით (07.06.2018.) და განთავსებულია ვებ გვერდზე.

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შესაბამისობაშია 6 წლიან გეგმასთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სტატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შექმნის წესით;

32

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----



ქ. ქუთაისი;
ქ.თბილისი 2019.

(ქალაქი, წელი)

- სტრატეგიული განვითარების 6 წლიანი გეგმით;
- სამოქმედო - ერთწლიანი გეგმით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. პერსონალის მიღების წესი გაწერილია საგანმანათლებლო სამიანობის მარეგულირებელი დებულებების მუხლი 67-ით. დებულების თანახმად, კოლეჯის პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პერსონალის მიღება შეიძლება ღია კონკურსის წესით, დირექტორს აქვს უფლება კოლეჯის ინტერესებიდან გამომდინარე, კონკურსის გარეშე მოიწვიოს კოლეჯში სასწავლო პროცესის ამაღლებისთვის საჭირო შესაბამისი კვალიფიკაციის პედაგოგიური პერსონალი. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით დადგენილი წესით, საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. საბუთების მიღება გრძელდება არანაკლებ 2 და არა უმეტეს 3 კვირისა. კონკურსი ტარდება საბუთების მიღების დასრულებიდან არანაკლებ 1 და არა უგვიანეს 2 თვის ვადაში. განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ უნდა განთავსდეს კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. განცხადებაში აღინიშნება კონკურსანტების რეგისტრაციის დაწყების თარიღი, განცხადებების მიღების ბოლო ვადა და წარმოსადგენი დოკუმენტთა ნუსხა. კონკურსის ჩატარების წესს განსაზღვრავს დირექტორი. დირექტორი უფლებამოსილია კოლეჯში მეცადინეობების ჩასატარებლად მოიწვიოს

33

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ქ. ქუთაისი;
ქ.თბილისი 2019.

(ქალაქი, წელი)

პედაგოგიური პერსონალი საათური ანაზღაურების წესით. ანაზღაურების ოდენობა შესაძლებელია დადგინდეს ინდივიდუალურადაც.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ადმინისტრაციის წარმომადგენელთან ინტერვიუებით;
- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით;
- საშტატო განრიგით;
- შინაგანაწესით;
- პირადი საქმეებით.

შეფასება:

- ☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ქ. ქუთაისში „ ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამის განმახორციელებელი არის 21 პერსონალი და ამათგან ახალი პედაგოგია მხოლოდ ერთი, რომელიც კითხულობს ბუღალტრულ აღრიცხვებში მოდულს: Ms Excel . პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ მისი კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. კერძოდ მისი კვალიფიკაცია არის ეკონომისტ-ინფორმატიკოსი.

ასევე პერსონალის ხელშეკრულება და საბუთები, შეესაბამება საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით (მუხლი 69: პერსონალის შრომითი ურთიერთობები და წარმოსადგენი საბუთები) მოთხოვნილს. კერძოდ , განცხადებასთან ერთად წარმოდგენილია შემდეგი საბუთები: პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, პირადი ინფორმაცია CV , კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი-დიპლომი.

34

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ქ. ქუთაისი;
ქ.თბილისი 2019.

(ქალაქი, წელი)

გავესაზრეთ პროგრამის ხელმძღვანელს, ასოცირებულ პროფესორს, რომელიც კოლეჯში დაარსების დღიდან მუშაობს. მასთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ 2018 წელს მიღებულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ მოდულების სწავლების თანმიმდევრობა არის შესაცვლელი და ახალი ჯგუფის მიღებისთვის საჭიროა სასწავლო გეგმის შეცვლა.

სასწავლო პროცესის წინა გამოცდილების საფუძველზე ბრძანებით დამტკიცებულ ახალ პროგრამაში არის ახალი სასწავლო გეგმა, სადაც შეცვლილია მოდულების თანმიმდევრობა და პროგრამის ხანგრძლივობა (I სემესტრი იყო 35 სთ , გახდა 32 სთ. და II სემესტრი იყო 72 სთ. , გახდა 68 სთ) და შემჭიდროვდა კვირეული საათების რაოდენობა არ აჭარბებს 40 სთ.-ს კვირეულ დატვირთვას.

პროგრამის ხელმძღვანელის გარდა სამ პროფესიულ მასწავლებელთან გვექონდა გასაუბრება.

ქ. თბილისში ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირების/პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები და საშტატო განრიგი.

„ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამის განმახორციელებელი არის 21 პერსონალი, ხოლო „ბაგა-ბალის აღმზრდელ-პედაგოგის“ პროგრამის 22 პერსონალი. კვოტის დამატების შემთხვევაში სამივე პროგრამაზე თანაფრდობა შეადგენს 64/21 3-1თან , 64/21 3-1თან და 64/22 3-1თან.

გავასაუბრეთ პროფესიულ მასწავლებლებს , მათ შორის პროგრამების ხელმძღვანელებს. ძირითადად პროფესიული მასწავლებლები პრაქტიკოსები არიან და ამავდროულად აქვთ სწავლების გამოცდილება. იციან მოდულური სწავლების სპეციფიკა, შეფასების ინსტრუმენტები, სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდები. მაგალითისთვის: პროექტებით და სიმულაციური ამოცანებით მიმდინარეობს სწავლება. ვიმყოფებოდით პროგრამის ბაგა-ბალის აღმზრდელი-პედაგოგის საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე, სადაც გავესაუბრეთ ამ კოლეჯის კურსდამთავრებულს, რომელიც ამ ბაღში მუშაობს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პერსონალის პირადი საქმეებით და გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- სისტემით evet. emis. Ge;
- პროგრამის ხელმძღვანელებთან და პედაგოგებთან გასაუბრებით;
- სასწავლო გეგმით (2018 და 2019 წ.);
- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებების მუხლი 69-ით.
(დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“-ს დირექტორის ბრძანებით

35

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----



ქ. ქუთაისი;
ქ.თბილისი 2019.

(ქალაქი, წელი)

N 27/2,05.07.2019 წელი);

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამების დამტკიცების შესახებ (დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიანი“-ს დირექტორის ბრძანებით N40, 20.04.2018 წელი)

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

შრომითი ხელშეკრულება იდება პერსონალის სამსახურში მიღების წესით განსაზღვრული პირობებითა და ვადით.

პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებით, შესრულებული სამუშაოს დახასიათებაში, მითითებული მოდულები შეესაბამება მათ შესასრულებელ სამუშაოს (პროგრამის განმახორციელებელი პერსონალით) და კვალიფიკაციას (პირადი საქმით). პერსონალთან 2017 წელს დადებული მომსახურების ხელშეკრულება უვადოა, ხოლო 2018 წელს დადებული ხელშეკრულება პროგრამის ავტორიზაციის ვადით. ხელშეკრულებებში ასევე მითითებულია ზეგანაკვეთური მუშაობის ანაზღაურების პირობები.

36

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----



ქ. ქუთაისი;
ქ.თბილისი 2019.

(ქალაქი, წელი)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- გასაუბრებით (ინტერვიუებით).

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	ბუღალტრული აღრიცხვა	მეხუთე დონე	უმღალესიპროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 0411	99	129	ქართული	ქ. ქუთაისი, ქუთაისის ოცხელის ქ. N 27-ის ქ. N 2 ქ.თბილისი, ქ.თბილისი ბაქრადის ქ. N 6	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. N 27-ის ქ.თბილისი, ბაქრადის ქ. N 6 - 15 პროფესიული სტუდენტი	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. N 2 – 64 პროფესიული სტუდენტი ქ. თბილისი, ბაქრადის ქ. N 6 – 64 პროფესიული სტუდენტი

37

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----



ქ. ქუთაისი;
ქ.თბილისი 2019.

(ქალაქი, წელი)

2	ბაგა- ბალის აღმზრდ ელი პედაგო გი	მეხუთე საფეხური	ბაგა-ბალის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 030254	111	141	ქართუ ლი	ქ. თბილი სი ბაქრადი ს ქ. N 6	ქ. თბილისი, ბაქრადის ქ. N6 – 9 პროფესიული სტუდენტი	ქ. თბილისი, ბაქრადის ქ. N 6 – 64 პროფესიული სტუდენტი

IX. თანდართული დოკუმენტაცია

- დანართი - 2019 წლის 21-22 ოქტომბერს განხორციელებული ვიზიტის ანგარიში.

30.10.2019.

38

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ქ. ქუთაისი;
ქ.თბილისი 2019.

(ქალაქი, წელი)